მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №5

ქ. მარტვილი 7 ივნისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12 ^{00}სთ-ზე, დამთავრდა 13^{00}სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1.მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ;

/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

2.,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი)

საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ როგორც ირკვევა აღნიშნული ქონება რამდენჯერმე იყო გატანილი აუქციონზე და არ გაიყიდა აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მოძრავი ქონება გატანილ იქნას საპრივატიზებოდ თავდაპირველი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 80%-ის შემცირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

2-ე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს 2 . მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 6. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია